ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9726107001
თარიღი:17/04/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-06

დ.ლენტეხი. 15 აპრილი 2026წ.

მიმდინარე წლის 15 აპრილს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 4(ოთხი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გაზდელიანი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა დაინიშნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 15/04/2026 წლის N-96-96251621 წინადადების საფუძველზე. მან სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლასკადურაში, მჟავე წყლის კეთილმოწყობის სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის მოწონების თაობაზე.**

   /მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა. დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -19

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელმა დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლასკადურაში, მჟავე წყლის კეთილმოწყობის სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის მოწონების თაობაზე.**

კითხვა დასვა: საკრებულოს წევრმა გამზა ლიპარტელიანმა - ამ ლოკაციამდე

მისასვლელი გზის რაბილიტაცია თუ არის გათვალისწინებული?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროექტით არ არის გათვალისწინებული გზის მოწყობა.

პროექტთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაზდელიანმა. აღნიშნა, რომ ამ პროექტის დაფინანსება ხდება მთის ფონდიდან. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ტურისტულ ლოკაციებზე და რადგანაც მზად გვაქვს ეს პროექტი. მივიღეთ გადაწყვეტილება გამოგვეტანა მოწონებისთვის საკრებულოზე. რაც შეეხება გზას, ვფიქრობთ, რომ შევძლებთ რეაბილიტაციას ადგ. ბიუჯეტიდან. 16-ში იკრიბება კომისია და გვინდა რომ მზად გვქონდეს ეს პროექტი.

იყო დამატებით შეკითხვები მომხსენებელთან. მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა სეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -19

წინააღმდეგი -0

1.გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლასკადურაში, მჟავე წყლის კეთილმოწყობის სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის მოწონების თაობაზე.

სხდომა დასრულდა 13 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი